ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ78.78221535**

თარიღი:**02/06/2022**

,,მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის და აღდგენის მიზნით საბჭოს შექმნის შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 24 ნოემბრის Nბ78.78213284 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ და ,,ე.ვ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ,,მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის და აღდგენის მიზნით საბჭოს შექმნის შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 24 ნოემბრის Nბ78.78213284 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
1.1 დაზუსტდეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის **ვალერიან გობეჯიშვილის** საშტატო თანამდებობა- მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი;
1.2 დაზუსტდეს საბჭოს წევრის **თამარ ლობჯანიძის** საშტატო თანამდებობა- მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი;
1.3 საბჭოს შემადგენლობას დაემატოს **მირანდა მეტრეველი**-მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი;
2. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობა დაეკისროს **ვალერიან გობეჯიშვილს** - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელს, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი